ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

# ᲚᲔᲚᲝ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡᲗᲐᲜ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲤᲘᲖᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲞᲠᲝᲤᲙᲐᲕᲨᲘᲠᲗᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

№ 50 (4560)

1972 Წ. 12 ᲛᲐᲠᲢᲘ, ᲙᲕᲘᲠᲐ.

ᲤᲐᲡᲘ 2 ᲙᲐᲞ.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1934 ᲬᲚᲘᲡ 13 ᲐᲞᲠᲘᲚᲘᲓᲐᲜ

# ᲛᲨᲓ — ᲣᲞᲘᲠᲕᲔᲚᲔᲡᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲘ

იური ჭანტურია აფხაზეთში პირველი სპორტის ოსტატია თანამედროვე ხუთჭიდში. იგი წარმატებით გამოდიოდა საქართველოსა და „დინამოს" რესპუბლიკური საბჭოს ნაკრებ გუნდებში. ფიზკულტურის ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მშობლიურ მხარეში დაბრუნდა. ამ დღიდან მოკიდებული აფხაზეთის ხუთჭიდელები ჭანტურიას ხელმძღვანელობით მონაწილეობდნენ რესპუბლიკურ პირველობებში. მან ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა მოფარიკავეც გამოავლინა. ამიტომაც იყო, რომ სწორედ ჭანტურიას მიენდო ამ საზეიმოში საქართველოს V სპარტაკიადისთვის აფხაზეთის სპორტსმენთა მომზადება.

კომკავშირის სოხუმის რაიკომის პირველ მდივანს Ი. ᲭᲐᲜᲢᲣᲠᲘᲐᲡ ჩვენი კორესპონდენტი Თ. ᲒᲐᲩᲔᲩᲘᲚᲐᲫᲔ საქართველოს კომკავშირის XXIX ყრილობაზე შეხვდა. გთავაზობთ ჭანტურიას პასუხებს კორესპონდენტის ორ შეკითხვაზე.

● თქვენი აზრით, როგორი უნდა იყოს კომკავშირული და ფიზკულტურული ორგანიზაციების ურთიერთობა პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელების გზაზე?

—ფიზკულტურასა და სპორტში მეცადინეობა ყოველდღიურ მოთხოვნილებად ექცა საბჭოთა ხალხს. მაგრამ სხვა საკითხია ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილება, უფრო სწორად, ადამიანის ფიზიკური სრულყოფისთვის სათანადო პირობების შექმნა. ფიზკულტურული და კომკავშირული ორგანიზაციების მთავარი საზრუნავიც დღეს ეს უნდა იყოს. დღის წესრიგში ამიტომაც დგას სპორტული ბაზების უფრო ეფექტურად გამოყენება. ეს ხაზგასმით აღინიშნა საქართველოს კომკავშირის XXIX ყრილობაზე, საანგარიშო მოხსენებაშიც.

ადგილებზე საქმისადმი შემოქმედებითი მიდგომა დიდად გააიოლებდა სპორტის მასობრიობისკენ მიმავალ გზას. მაგრამ დასამალი როდია, რომ კომკავშირული ორგანიზაციები ზოგან ივიწყებენ თავიანთ მოვალეობას.

● ყრილობაზე აღინიშნა, რომ კომკავშირულმა ორგანიზაციებმა უნდა უზრუნველყონ ახალგაზრდების აქტიური მონაწილეობა მშდ ახალი კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებაში. თქვენ რა კონკრეტულ ღონისძიებას გაატარებთ?

— ახალი კომპლექსის გულდასმით გაცნობამ მიკარნახა რამდენიმე მოსაზრება, რომელთაც რაიონის კომკავშირულ და ფიზკულტურულ მუშაკებს გავუზიარებ. კონკრეტულ ღონისძიებებს ბიუროზე დავსახავთ. დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, რომ ჩვენი კომკავშირელები ახალი კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებაში მისაბაძ თაოსნობას გამოიჩენენ.

სოხუმის სკოლებში ცურვაში საშინაო დავალების შემოღება ამ სახეობაში მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებასაც გაუიოლებს მოზარდებს. ამ თაოსნობას მთელს რაიონში დავნერგავთ. გარდა ამისა, ვფიქრობთ კარგი იქნება ბავშვებს კომპლექსის სხვა ნორმატივებიც მიეცეთ საშინაო დავალებად. ამით კომპლექსისადმი ინტერესი გაიზრდება და მოზარდებიც უფრო მომზადებული მოვლენ ჩათვლებზე.

ცურვა კომპლექსის დებულებით შეუცვლელია. ამიტომაც გვინდა დახმარება შავი ზღვის სანაპიროზე დასასვენებლად ჩამოსულებსაც გავუწიოთ. საზაფხულო პერიოდი ყოველმხრივ ხელსაყრელია უმეტეს სანორმატივო მოთხოვნებში ჩათვლების მისაღებად. სანატორიუმებში, დასასვენებელ სახლებში, ბანაკებში თუ პლაჟზე კომპლექსის ნორმატივების ჩასაბარებლად ნამდვილი სპორტული ზეიმის გამართვით შვებულებისა თუ არდადეგების დღეები ყველასთვის საინტერესო და დაუვიწყარი გახდება.

ერთი სიტყვით, გვინდა, რომ წლევანდელი სპორტული სეზონის უპირველესი სპორტი მშდ კომპლექსი იყოს.

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡᲒᲐᲜ: დღემდე ამ საკავშირო ფიზკულტურული კომპლექსის სახელწოდება შემოკლებით შეცდომით იწერებოდა ასე: ᲛᲨᲗ. ეს მომდინარეობდა თვით კომპლექსის სრული სახელწოდების უსწორო თარგმანიდან — „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის თავდაცვისთვის" (სინამდვილეში უნდა ყოფილიყო არა თავდაცვისთვის, არამედ დაცვისთვის). რედაქცია ასწორებს შეცდომას და სთხოვს ყველას, ვისაც ამ საერთო საქმესთან კავშირი აქვს, ამიერიდან კომპლექსის სახელწოდება შემოკლებით დაწეროს სწორად — ᲛᲨᲓ.





ᲤᲝᲢᲝᲠᲔᲞᲝᲠᲢᲐᲟᲘ

ფეხბურთის ერთგული მერცხლები [illegible] სტადიონზე.

მ. ზარგარიანის ფოტო.

ძველი თანაკლუბელები, დღეს კი სპორტული მეტოქეები — კიეველი ს. კოვალენკო და თბილისელი ა. გლურჯიძე (მარცხნივ).

გ. ახალაძის ფოტო.

## ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢ ᲥᲐᲚᲗᲐ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ

ბათუმის ქალთა XII სპარტაკიადა 8 მარტის დღესასწაულს მიეძღვნა.

მშვილდოსანთა ასპარეზობაში თავი ისახელეს სპარტაკელმა სპორტის ოსტატმა თ. დოლიძემ (30 მეტრზე) და პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტმა ნ. ტომჩიანმა (50 მეტრზე). ორი სახეობის ჯამში გაიმარჯვა დოლიძემ. გუნდურ ჩათვლაში სპარტაკიადის ჩემპიონის სახელი სპარტაკელებმა დაისაკუთრეს.

მოფარიკავეთა შეჯიბრება განთიადელებმა მოიგეს. პირად ჩათვლაში უძლიერესი იყო ამ საზოგადოების წევრი ნ. ანთაძე.

ცურვაში I ადგილზე „განთიადის" ნაკრები გავიდა. პირად ჩათვლაში ჩემპიონები გახდნენ: სპარტაკელები თ. დოლიძე (100 და 200 მეტრზე თავისუფალი სტილით), მ. გორბუნოვა (100 და 200 მეტრზე ბატერფლაით), დინამოელი ვ. ვაპიროვა (100 და 200 მეტრზე ბრასით) და განთიადელი რ. სარვაროვა (100 და 200 მეტრზე გულაღმა).

სპორტულ ტანვარჯიშში ტოლი არ ჰყავდათ ბავშვთა სპორტული სკოლის წარმომადგენლებს, რომლებიც შეჯიბრებაში უკონკურსოდ მონაწილეობდნენ. სპარტაკიადის ჩემპიონები ბურევესტნიკელები გახდნენ. პირად ჩათვლაში უძლიერესნი იყვნენ: ოსტატობის კანდიდატთა პროგრამით — ე. ლეონოვა (სპორტსკოლა), პირველთანრიგოსანთა პროგრამით — მ. ჭავჭანიძე („ბურევესტნიკი"), მეორეთანრიგოსნებში — ი. ბატალოვა (სპორტსკოლა).

მძლეოსნობაში ყველას აჯობა „ბურევესტნიკის" კოლექტივმა.

საერთო გუნდურ ჩათვლაში სპარტაკიადის ჩემპიონი გახდა „ბურევესტნიკი". II ადგილზეა „განთიადი", III — „სპარტაკი".

Ო. ᲛᲣᲠᲕᲐᲜᲘᲫᲔ.

(ჩვენი კორ.).

ბათუმი.

## ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕ ᲡᲐᲬᲧᲘᲡᲔᲑᲖᲔ

ჩვენს დედაქალაქში მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის ბიუროს დადგენილების შესაბამისად თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომთან არსებულმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა რესპუბლიკურ სპორტსაზოგადოებებთან ერთად საზოგადოებრივ საწყისებზე შექმნა საქალაქო სპორტული საზოგადოებები.

საქალაქო სპორტსაზოგადოებების „შრომითი რეზერვების", „ლოკომოტივის", „სპარტაკის", „დინამოს", „განთიადისა" და „ბურევესტნიკის" პრეზიდიუმების თავმჯდომარეებად შესაბამისად არჩეული არიან რესპუბლიკური სპორტსაზოგადოება „შრომითი რეზერვების" სასწავლო-სპორტული განყოფილების გამგე მ. სოკოლოვსკაია, „ლოკომოტივის" რაიონული საბჭოს თავმჯდომარე მ. ბალდასაროვი, „სპარტაკის" რესპუბლიკური საბჭოს ინსტრუქტორი მ. კალანდაძე, „დინამოს" რესპუბლიკური საბჭოს მდივანი, საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე მ. ამნიაშვილი, „განთიადის" ცენტრალური საბჭოს საორგანიზაციო და მასობრივი მუშაობის განყოფილების გამგე ტ. კიკნაველიძე, „ბურევესტნიკის" რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი მ. ბერიევი.

**[illegible] ... 19 45**

◆ ᲙᲐᲘᲠᲝ, 11 მარტი. სსრ კავშირის ჩემპიონი, თბილისელი ჩოგბურთელი ა. მეტრეველი არაბეთის რესპუბლიკა ეგვიპტის ღია პირველობის ფინალში გავიდა — ნახევარფინალში სძლია ჰ. ელშენბროიხს (გფრ) — 6:3, 6:1, 6:4. გადამწყვეტ მატჩში იგი შეხვდება ა. დავუდუსა (არაბეთის რესპუბლიკა, ეგვიპტე) და ფ. პალას (ჩეხოსლოვაკია) ორთაბრძოლაში გამარჯვებულს. ეგვიპტელმა მეოთხედფინალში შეძლო ავსტრალიელი ი. ფლეტჩერის დამარცხება — 8:6, 12:10, 7:5, 7:5.

◆ ᲰᲐᲕᲐᲜᲐ, 11 მარტი. საბჭოთა ჩოგბურთელთა გუნდმა (ტალინელი თ. ლეიუსი და მოსკოველი შ. ტარპიშჩევი) გაიმარჯვა მეგობრობის პრიზზე საერთაშორისო ტურნირში. ამ შეჯიბრებებს კუბის ჩოგბურთის ფედერაცია დევისის თასის მატჩების ფორმულით ატარებს — ერთეულთა 4 და წყვილთა 1 შეხვედრა. საბჭოთა გუნდმა ერთნაირი ანგარიშით (3:2) აჯობა ჩეხოსლოვაკიის ნაკრებსა და კუბის მეორე კოლექტივს, ხოლო მასპინძელთა პირველ ნაკრებს იოლად გაუმკლავდა — 3:0.

◆ ᲑᲠᲘᲣᲡᲔᲚᲘ, 11 მარტი. ფრენბურთელ ქალთა შორის ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის აქ მიმდინარე გათამაშების ფინალური ტურნირის მეორე დღეს მოსკოვის „ლოკომოტივმა" მწვავე ბრძოლაში მარცხის სიმწარე იწვნია პრაღის „ტატრანთან"—2:3 (11:15, 15:11, 15:9, 12:15, 13:15). სამაგიეროდ, მოსკოვის „დინამომ" 45 წუთში მოუგო ლოძის „სტარტს" — 3:0 (15:9, 15:3, 15:0).

◆ ᲞᲐᲠᲘᲖᲘ, 11 მარტი. პატარა ჩოგნის დასავლეთგერმანელ ოსტატთა გუნდმა ევროპული ლიგის პირველობის მორიგ მატჩში ანგარიშით 5:2 სძლია საფრანგეთის ნაკრებს. ამ შეჯიბრებაში კვლავინდებურად ლიდერობენ ჩეხოსლოვაკიელები — 5 მოგება ხუთ მატჩში. საბჭოთა ჩოგბურთელებმა ოთხიდან 3 შეხვედრა მოიგეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართული ტემპერამენტით ჩრდილოეთის ყინულზე

მესამე წელია საფუძველი ჩაეყარა სსრ კავშირის ნორჩ ფიგურისტთა პირველობას მრავალჭიდში სპეციალური პროგრამით. მრავალჭიდის ერთ-ერთი სახეობაა ნებისმიერი ცეკვა, რომელიც წუთნახევარში უნდა შესრულდეს. დანარჩენი ორი სახეობაა სავალდებულო (2 წუთი) და ნებისმიერი (3 წუთი) პროგრამები.

ყინულზე გამოდიან მოკავშირე რესპუბლიკების, აგრეთვე, მოსკოვისა და ლენინგრადის გუნდები. ამ შეჯიბრებაში საქართველოს ღირსებას იცავენ თბილისის ბავშვთა სპეციალიზებული სპორტსკოლის ნორჩი ფიგურისტები. ჩვენები საერთოდ კარგად გამოდიან ამ ასპარეზობაში, მაგრამ განსაკუთრებული წარმატება მაინც 1970 წელს ვვხვდა სარატოვში, როცა ქეთევან ჯუჯამიძემ მრავალჭიდში III საპრიზო ადგილი დაიკავა.

და აი, 1972 წლის თებერვლის მიწურულს ჩერეპოვეცში ნორჩ ფიგურისტთა III საკავშირო ჩემპიონატი ჩაიმართა. მონაწილეთა შორის იყო 24 გოგონა და 18 ჭაბუკი.

გოგონათაგან საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა თბილისის მე-60 სკოლის VI კლასის მოსწავლე მარინე ცერცვაძე. მის გარდა შეჯიბრებაში ჩვენი რესპუბლიკიდან მონაწილეობდნენ ლია გაბელაია (96-ე სკოლა, VI კლასი) და ლეიზა ისმაილოვა (მე-2 სკოლა, VI კლასი).

მრავალჭიდის პირველ სახეობაში (6 ელემენტისგან შემდგარი მოკლე სავალდებულო პროგრამა) საკმარისია თუნდაც ერთი ელემენტი არ შესრულდეს, რომ მონაწილე მაღალ შედეგს გამოემშვიდობება. ამიტომ, ბუნებრივია, პროგრამის უშეცდომოდ შესრულებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა.

... ცხადია, ამ ჩემპიონატსაც თავისი ფავორიტები ჰყავდა. ესენი იყვნენ 1971 წლის ჩემპიონატის მეორე პრიზიორი მრავალჭიდში, მოსკოველი ელენა ლიტკინა, მისი თანაქალაქელი და მოსახელე ფიოდოროვა, რსფსრ-ს წარმომადგენლები ტ. მარიკსინა და ე. მაზიტოვა, ლენინგრადელი ფიგურისტები და, რა თქმა უნდა, ჩვენები. ცხარე ბრძოლა სწორედ ამ სპორტსმენთა შორის უნდა გაჩაღებულიყო და ასეც მოხდა.

პირველად ლიტკინა გამოვიდა. ორი შესამჩნევი შეცდომა და, შეფასებაც დაბალია — V ადგილი.

სარბიელზეა გაბელაია. ლია ლამაზად ასრულებს ექვსივე ელემენტს, მაგრამ უმნიშვნელო ტექნიკური შეცდომის გამო მსაჯების შეფასების შემდეგ III საპრიზო ადგილზე გადის.

ე. ფიოდოროვამ ყველაზე უკეთ, თითქმის უშეცდომოდ იასპარეზა და I ადგილიც დაისაკუთრა. II ადგილზე გავიდა მაზიტოვა, VI — მარიკსინა.

ცერცვაძე თავის შესაძლებლობაზე სუსტად გამოვიდა და მხოლოდ IV ადგილის დაკავება შეძლო. კიდევ უფრო სუსტად გამოვიდა ისმაილოვა. მან რამდენიმე ელემენტი ცუდად შეასრულა და XII ადგილს დასჯერდა.

მრავალჭიდის მეორე სახეობა ნებისმიერი ცეკვა იყო. აქ იმარჯვა მარიკსინამ, რომელმაც არტისტული და სპორტული თვალსაზრისით მაღალ დონეზე იასპარეზა. შესანიშნავად შეასრულა ქართული მთიულური ცეკვა ცერცვაძემ, რისთვისაც მაყურებელთა დიდი ტაში დაიმსახურა, ხოლო მსაჯების შეფასების შემდეგ ცნობილი გახდა, რომ იგი II ადგილზე იყო. ცერცვაძემ მხოლოდ ქულის მეათედით დაუთმო პირველობა გამარჯვებულს. მესამე იყო მაზიტოვა, მეოთხე — გაბელაია. ისმაილოვამ ამჯერად უკეთესად იასპარეზა და V ადგილზე გავიდა. წარუმატებლად გამოვიდნენ ლიტკინა და ფიოდოროვა: პირველი XIV ადგილზე გავიდა, ხოლო მეორე — VII.

და აი, ბოლო სახეობის — ნებისმიერი პროგრამის წინ მრავალჭიდში გამარჯვების პრეტენზიას 6-7 სპორტსმენი აცხადებდა. ყოველივე დამოკიდებული იყო იმაზე, თუ ვინ როგორ გაართმევდა თავს რთულ ელემენტებს. სწორედ აქ გამოიჩინა თავი ცერცვაძემ, რომელმაც პროგრამა უშეცდომოდ დაამთავრა და მონაწილეთა შორის ერთადერთმა შეასრულა ისეთი რთული ელემენტი, როგორიცაა ნახტომი ორნახევარი ბრუნით. ნებისმიერი პროგრამის ასეთმა კარგმა შესრულებამ და დანარჩენ ორ სახეობაში თანაბრად გამოსვლამ ცერცვაძეს მრავალჭიდში გამარჯვება მოუტანა. ქართველი ფიგურისტებიდან მან პირველმა დაიმსახურა ჩემპიონის ოქროს მედალი.

კარგად შეასრულეს ნებისმიერი პროგრამა გაბელაიამ და ისმაილოვამ, მაგრამ მათ რთული ელემენტები არ უჩვენებიათ. ამიტომ გაბელაია მრავალჭიდში V ადგილს დასჯერდა, ისმაილოვა კი მეათეს.

მრავალჭიდში II ადგილზეა ფიოდოროვა, III — მარიკსინა.

ასევე საინტერესოდ წარიმართა ჭაბუკთა შეჯიბრება. ჩვენი რესპუბლიკიდან ასპარეზობდნენ მ. სიხარულიძე (123-ე სკოლა, VI კლასი), თ. რუხაძე (62-ე სკოლა, VI კლასი) და ა. მუგდუსოვი (50-ე სკოლა, VI კლასი). პირველი სახეობის შემდეგ მუგდუსოვი III ადგილზე იყო, სიხარულიძე და რუხაძე კი შესაბამისად XII და XIII ადგილებზე. ამ სახეობაში გაიმარჯვა მოსკოველმა ა. პეჩენიხინმა.

მრავალჭიდის მეორე სახეობა ნებისმიერი ცეკვა იყო. აქ კვლავ პეჩენიხინს ხვდა გამარჯვება. სიხარულიძე III ადგილზე გავიდა, რუხაძე — V, მუგდუსოვი — VI.

მესამე სახეობაში პეჩენიხინმა წაიფორხილა, მაგრამ წინა სახეობებში კარგად გამოსვლამ მას მრავალჭიდში ჩემპიონის სახელი მოუტანა. ნებისმიერ პროგრამაში მუგდუსოვმა III ადგილი დაიკავა, მაგრამ საბოლოოდ მრავალჭიდში IV ადგილს დასჯერდა. სიხარულიძე საბოლოოდ VIII ადგილზე აღმოჩნდა, რუხაძე — XII.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი რესპუბლიკის ფიგურისტებმა სულ 7 დიპლომი დაიმსახურეს.

ი. ჯაფარიძე.

* * *





სურათებზე: მარცხნიდან — თ. რუხაძე, ი. ჯაფარიძე (მწვრთნელი), მ. ცერცვაძე, მ. სიხარულიძე და ა. მუგდუსოვი; მ. ცერცვაძე ვარჯიშის დროს.

ო. ლუკიანცევის ფოტოები.

## [illegible] შედეგები

თბილისი. 27-29 თებერვალი. საქართველოს ჩემპიონატი ფიგურულ ციგურაობაში სპორტის ოსტატთა პროგრამით. ქალთა ერთეულები. 1. მ. ცერცვაძე, 2. ლ. ისმაილოვა, 3. ლ. კოშორიძე. ვაჟთა ერთეულები. 1. თ. ლომაძე, 2. დ. თვალაძე, 3. მ. სიხარულიძე. წყვილთა სრიალი. ქ. მაჭავარიანი და ვ. თავაძე. სპორტული ცეკვები. ნ. მურუსიძე და ნ. სავინკოვი.

# საქართველოს რეკორდები

## ცურვა

1972 წლის 10 მარტისთვის

50-მეტრიანი აუზებისთვის

### 15-16 წლის ჭაბუკები

| დისტანცია | შედეგი | რეკორდსმენი | დამყარების წელი |
|---|---|---|---|
| **თავისუფალი სტილი** | | | |
| 50 მ | 25,9 | ი. ტიშკინი (თბილისი, „დინამო") | 1971 |
| 100 მ | 56,9 | ვ. გონჩაროვი (თბილისი, „დინამო") | 1971 |
| 200 მ | 2.04,2 | ვ. გრიგორაშჩენკო (თბ., „შრ. რეზ.") | 1971 |
| 400 მ | 4.25,5 | ვ. თხორი (თბილისი, „სპარტაკი") | 1971 |
| 800 მ | 9.36,0 | ი. ლისეცკი (თბილისი, „დინამო") | 1970 |
| 1500 მ | 17.35,5 | ა. იორდანიშვილი (თბ., „შრ. რეზ.") | 1971 |
| **ესტაფეტა** | | | |
| 4×100 მ | 4.01,5 | თბილისის ნაკრები | 1970 |
| 4×200 მ | 9.04,5 | საქართველოს ნაკრები | 1964 |
| **ბრასი** | | | |
| 100 მ | 1.10,3 | ა. ივლევი (თბილისი, „დინამო") | 1971 |
| 200 მ | 2.32,5 | ა. ივლევი (თბილისი, „დინამო") | 1971 |
| **ბულალმა** | | | |
| 100 მ | 1.01,5 | ვ. კრასკო (ბათუმი, „დინამო") | 1970 |
| 200 მ | 2.13,8 | ვ. კრასკო (ბათუმი, „დინამო") | 1970 |
| **ბატერფლაი** | | | |
| 100 მ | 1.02,6 | ა. ზუკაშკინი (ბათუმი, „განთიადი") | 1971 |
| 200 მ | 2.20,5 | ა. ზუკაშკინი (ბათუმი, „განთიადი") | 1971 |
| **კომპლექსური** | | | |
| 200 მ | 2.21,5 | ვ. გონჩაროვი (თბილისი, „დინამო") | 1971 |
| 400 მ | 5.06,2 | ა. იორდანიშვილი (თბ., „შრ. რეზ.") | 1971 |
| **კომბინირებული ესტაფეტა** | | | |
| 4×100 მ | 4.34,5 | საქართველოს ნაკრები | 1968 |

### 15-16 წლის ქალიშვილები

| დისტანცია | შედეგი | რეკორდსმენი | დამყარების წელი |
|---|---|---|---|
| **თავისუფალი სტილი** | | | |
| 50 მ | 29,9 | ლ. სუინა (გაგრა, „განთიადი") | 1971 |
| 100 მ | 1.05,8 | ი. ზოტოვა (ქუთაისი, „განთიადი") | 1970 |
| 200 მ | 2.28,5 | თ. დოლიძე (ბათუმი, „სპარტაკი") | 1970 |
| 400 მ | 5.08,8 | ი. მარგიშვილი (თბ., „სპარტაკი") | 1971 |
| 800 მ | 10.53,1 | თ. დოლიძე (ბათუმი, „სპარტაკი") | 1971 |
| 1500 მ | 22.54,3 | თ. ლეკვეიშვილი (თბ., „დინამო") | 1968 |
| **ესტაფეტა** | | | |
| 4×100 მ | 4.38,2 | საქართველოს ნაკრები | 1970 |
| **ბრასი** | | | |
| 100 მ | 1.21,9 | მ. კირდიანოვა (თბილისი, „დინამო") | 1971 |
| 200 მ | 2.52,0 | მ. კირდიანოვა (თბილისი, „დინამო") | 1971 |
| **ბულალმა** | | | |
| 100 მ | 1.07,8 | თ. ლეკვეიშვილი (თბ., „დინამო") | 1970 |
| 200 მ | 2.27,1 | თ. ლეკვეიშვილი (თბ., „დინამო") | 1970 |
| **ბატერფლაი** | | | |
| 100 მ | 1.11,1 | მ. გორბუნოვა (ბათუმი, „სპარტაკი") | 1970 |
| 200 მ | 2.41,3 | ვ. პროსკურინა (თბილისი, „განთიადი") | 1971 |
| **კომპლექსური** | | | |
| 200 მ | 2.43,0 | ი. ზოტოვა (ქუთაისი, „განთიადი") | 1970 |
| 400 მ | 5.49,5 | თ. დოლიძე (ბათუმი „სპარტაკი") | 1971 |
| **კომბინირებული ესტაფეტა** | | | |
| 4×100 მ | 5.02,8 | განათლების სამინისტროს ნაკრები | 1969 |

# სლავსკოეში დაკარგული პოზიცია

„დინამოს" ცენტრალური საბჭოს სამთომოთხილამურეთა პირველობა ამას წინათ სლავსკოეში გაიმართა. საქართველოს ვაჟთა გუნდმა, რომელმაც შარშან ჩემპიონობა მოიპოვა, აქ პოზიციები დათმო და საერთო IV ადგილს დასჯერდა (ეს უკან დახევა გუნდიდან გ. აბრამიშვილის წასვლამაც გამოიწვია). ყველას მასპინძლებმა — უკრაინის სპორტსმენებმა აჯობეს.

სწრაფდაშვების 2100-მეტრიან ტრასაზე (სიმაღლეთა სხვაობა 590 მ, 14 კარი) ჩემპიონი გახდა სპორტის ოსტატი ვ. მარკინი (უკრაინა) —1.33,1. მისმა თანაგუნდელმა, პირველთანრიგოსანმა ბ. ტუზოვმა დისტანციის გავლას 1 წუთი და 36,9 წამი მოანდომა. ბაკურიანელი სპორტის ოსტატობის კანდიდატი ა. სტეპანიანი III ადგილზეა — 1.37,3, ხოლო სპორტის ოსტატი გ. ჯიშოევი დაეცა და ბოლომდე აღარ დაეშვა.

გიგანტური სლალომის (1700 მ, 392 მ, 56 კარი) ტრასა სპორტის ოსტატმა გ. აბრამიშვილმა მოაწყო. I და II ადგილები ამჯერადაც უკრაინის წარმომადგენლებს ხვდათ. გამარჯვება პირად პირველობაში მოასპარეზე სპორტის ოსტატ ა. ლებედევს დარჩა — 1.39,4. მარკინის შედეგია 1.41,5, III ადგილზე გასული ჯიშოევისა — 1.42,4.

ბოლოს ვაჟები სპეციალურ სლალომში ორ ეტაპად ასპარეზობდნენ. წინასწარ ტურნირში (450 და 430 მ, 210 მ, 50 და 48 კარი) საუკეთესო შედეგს ლებედევმა მიაღწია — 1.30,1. მარკინი მას 1,4 წამით ჩამორჩა. საქართველოს გუნდიდან საუკეთესომ — ჯიშოევმა მეხუთე შედეგი აჩვენა (1.33,0), მაგრამ ფინალში (აქაც 2-2 ცდა იყო) ვერც მან და ვერც სტეპანიანმა ჩათვლა ვერ მიიღეს. ჩემპიონობა მარკინს დარჩა — 1.34,6.

საქართველოს ქალთა გუნდმა თ. კოზანაშვილის მოწადინებით გუნდურ ჩათვლაში საფეხურით წინ წაიწია. პირად ტურნირში ყველაზე კარგად უკრაინის წარმომადგენელი, სპორტის ოსტატი ვ. კოზლოვა და მოსკოველი ოსტატი გ. სიდოროვა გამოვიდნენ. კოზლოვამ სწრაფდაშვება (1.23,4) და გიგანტური სლალომი (1.58,2) მოიგო, სიდოროვამ კი სპეციალური სლალომი — 1.21,6.

# ისევ შუბა!

კალგარი, 10 მარტი. კანადის ამ ქალაქში აურაცხელ მაყურებელს იზიდავს მსოფლიო ჩემპიონატი ფიგურულ ციგურაობაში. გამოვლინდნენ პრიზიორები კიდევ ერთ თანრიგში — ერთეულ ქალთა შორის. სავალდებულო პროგრამის შემდეგ დიდად დაწინაურებულმა ბ. შუბამ (ავსტრია) მოწინავე პოზიცია შეინარჩუნა და წლეულს ევროპის საპრიზოში მოხვეჭილ ევროპულ ოქროსა და საპოროში მოპოვებულ ოლიმპიურ უმაღლეს ჯილდოს კიდევ ერთი ჯველაზე ძვირფასი მედალი დაუმატა.

ვერცხლის ჯილდო ხვდა კანადელ კ. მაგნუსენს, ხოლო ბრინჯაოსი — ამერიკელ ჯ. ლინს.

* * *

### ტექნიკური შედეგები

ქალები. 1. ბ. შუბა (ავსტრია) — 2778,5 ქულა (ადგილების ჯამი — 13), 2. კ. მაგნუსენი (კანადა) — 2745,2 (16), 3. ჯ. ლინი (აშშ) — 2713,0 (25), 4. ჟ. ალმაში (უნგრეთი) — 2643,3 (37), 5. ს. მორგენშტერნი (გდრ) — 2581,1 (52), 6. ჯ. სკოტი (დიდი ბრიტანეთი) — 2555,1 (57)... 21. მ. ხანაია (სსრკ) — 2189,3 (178).

სპორტული ცეკვები. სავალდებულო პროგრამა. 1. ლ. პახომოვა — ა. გორშკოვი (სსრკ) — 251,9 (14,5), 2. ა. და ე. ბუკები (გფრ) — 250,7 (17,5), 3. ჯ. შვომაიერი — ჯ. სლადკი (აშშ) — 248,7 (23), 4. ჯ. სოუბრიჯი — პ. დელბი (დიდი ბრიტანეთი) — 242,0 (36), 5. ტ. ვოიტიუკი — ვ. ჟიგალინი (სსრკ) — 234,9 (47), 6. ჰ. გრინი — გ. უოთსი (დიდი ბრიტანეთი) — 233,3 (51)... 8. ე. ჟარკოვა — გ. კარპონოსოვი (სსრკ) — 219,1 (77).

## 19 45

◆ ხვარი (იუგოსლავია), 11 მარტი. იუგოსლავიისა და სსრ კავშირის ტანმოვარჯიშე ვაჟთა აქ მიმდინარე მატჩის პირველი დღის შემდეგ სტუმრები დაწინაურდნენ: სავალდებულო პროგრამით ასპარეზობისას მათ 282 ქულა დააგროვეს, მასპინძლებმა კი 13,2 ქულით ნაკლები. პირად ჩათვლაში I ადგილზეა ვლადიმირელი ნ. ანდრიანოვი — 57,35. მომდევნო ოთხ ადგილზეც საბჭოთა ტანმოვარჯიშეები არიან: ვ. ფოგელი (მოსკოვის ოლქი) — 56,80, ე. მიქაელიანი (ერევანი) — 56,15, ა. ტრიფონოვი (ვორონეჟი) — 55,90, გ. ბოგდანოვი (მოსკოვი) — 55,80. იუგოსლაველთა ლიდერს მ. ცრატიჩს მხოლოდ VI ადგილი უკავია — 55,60.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სსრ კავშირის ჩემპიონატი



ვერაფრით მოაბა თავი ძლიერმა და გამოცდილმა კოლექტივმა? მეტოქისადმი უპატივცემულობაზე და ამით გამოწვეულ უხერხულობებზე ლაპარაკიც ზედმეტია. არმიელები ასეთ შეცდომას არასდროს უშვებენ. პირიქით, ცსკა ჯერ კიდევ მატჩის დაწყებამდე გრძნობდა, რომ თბილისელებს აღარაფერი დარჩათ ყოველი ქულისთვის თავგამოდებული ბრძოლის მეტი. ესეც რომ არა, ტაქტიკური მანევრირება მატჩის პროცესში იმაზე მიგვითითებს, რომ სტუმრები სერიოზულად იყვნენ შეშფოთებული შექმნილი ვითარებით.

„ბურევესტნიკმა" მწვავედ დაიწყო შეხვედრა და თავიდანვე აიძულა მეტოქე დაჰყოლოდა მის ნებასურვილს. რას უნდა მოეტანა წარმატება გუნდისთვის, რომელიც საკალათბურთო ხელოვნების რამდენიმე საკვანძო პუნქტში ჩამორჩებოდა თავის მეტოქეს? მხოლოდ და მხოლოდ ტემპს. ტემპი შეტევაში, ტემპი კონტრშეტევის დროს, ტემპი მაშინაც, როცა საამისოდ თითქოს არ არსებობდა პირობები... ტემპი და მხოლოდ ტემპი — ეს იყო არც ისე რთული, მაგრამ უტყუარი პროგრამა, რომელმაც გარკვეული არევდარევა შეიტანა არმიელთა აკადემიურ სქემებში.

მაგრამ ამ პროგრამასაც ჰქონდა ერთი ნაკლი, რომელიც ბოლოს და ბოლოს მისი შემსრულებლის საზიანოდ უნდა შემობრუნებულიყო. გაუძლებდნენ თბილისელები ასეთ თავბრუდამხვევ შეტევებს 40 წუთის მანძილზე? შეძლებდნენ ისინი თავში აღებული ტემპის შენარჩუნებას? პასუხის გაცემა ამ შეკითხვაზე, რა თქმა უნდა, ძნელი იყო, მაგრამ რაც უფრო გვიან იქყოდნენ თბილისელები უარს ამ უპირატესობაზე, მით უფრო ახლოს აღმოჩნდებოდნენ სასურველ მიზანთან.

...ჯერჯერობით კი ყველაფერი თავისი წესითა და რიგით მიდიოდა. ბიჭიაშვილი და ალთაბაევი ეფექტურად ბომბავდნენ კალათს, ძიძიგური სასარგებლოდ მოქმედებდა ორივე ფარის ქვეშ, ჩხიკვაძეს მწვავე გასვლებით დეზორგანიზაცია და პანიკა შეჰქონდა მეტოქის დაცვის რიგებში და ყოველივე ამას უნარიანად ხელმძღვანელობდა თბილისელთა მთავარი დირიჟორი გლურჯიძე.

ა. გომელსკიმ ადრევე იგრძნო, რომ მისმა გუნდმა დაკარგა კონტროლი მოვლენებზე, იგრძნო ისიც, რომ ამ გზით ინიციატივას ვერ მიიღებდა და მდგომარეობის გამოსწორება „ჰაერში" სცადა. სულ მალე ბრძოლაში ჩაება არმიელთა ზემძიმე არტილერია ანდრეევის სახით. ერთის მხრივ ეს შესაძლოა სწორი გადაწყვეტილებაც იყო: ცსკა-მ მიიღო აშკარა უპირატესობა ფარის ქვეშ, მაგრამ ანდრეევის გამოჩენამ ერთბაშად შებოჭა ჟარმუხამედოვი — ორივესთვის ფარქვეშ არ იყო საკმარისი ადგილი და ერთ-ერთს უკან უნდა დაეხია. ჟარმუხამედოვი, რომელიც მანამდე უნაკლოდ თამაშობდა, მეორე პლანზე გადავიდა.

მაგრამ არც ეს საშუალება გამოდგა რადიკალური. ტაქტიკურმა გადაჯგუფებამ სასურველი ეფექტი ვერ მოიტანა, ვინაიდან ინიციატივას ისევ თბილისელები ფლობდნენ. ეს მართლაც გასაკვირი მატჩი იყო. ცსკა-მ ვერაფრით გატეხა მეტოქის საბრძოლო სული. თითქმის მთელი შეხვედრის მანძილზე იგი მდევრის როლში გამოდიოდა და, პირველი ტაიმის საყასიო ანგარიშს თუ არ მივიღებთ მხედველობაში, მხოლოდ მეორე ნახევრის მიწურულს შეძლო ანგარიშის გათანაბრება.

თბილისელები დაიღალნენ, მაგრამ ბოლომდე მაინც არ გატყდნენ. სწორედ ამიტომ თამამად შეიძლება ვთქვათ, რომ ეს ბურევესტნიკელთა ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი იყო ამ ჩემპიონატში.

# ტემპი, ტემპი და ისევ ტემპი!..

თბილისი. სპორტის სასახლე. 10 მარტი.

„ბურევესტნიკი" (თბილისი) — ცსკა 83:84 (42:42).

„ბურევესტნიკი": ბიჭიაშვილი (გუნდს შესძინა 28 ქულა), ძიძიგური (21), ალთაბაევი (18), ჩხიკვაძე (16), გლურჯიძე.

ცსკა: ანდრეევი (24), ს. ბელოვი (18), ჟარმუხამედოვი (18), ედეშკო (8), მილოსერდოვი (6), კოვალენკო (4), კაპრანოვი (4), კოვირკინი (2), კულკოვი.

მსაჯები — გ. მუხამეძიანოვი (ყაზანი), ო. გორბატოვი (კუიბიშევი).

დუბლიორები—88:93 (38:42).

მატჩის შემდეგ ძალაუნებურად გადავხედეთ მეორე წრის სატურნირო ცხრილს: სსრ კავშირის ჩემპიონს არც ერთი თამაშის მოგება არ გასჭირვებია ისე, როგორც თბილისის „ბურევესტნიკთან" შეხვედრისა. რა იყო ეს, შემთხვევითი დაბრკოლება თუ მატჩის ლოგიკიდან გამომდინარე სირთულე, რომელსაც მთელი 40 წუთის მანძილზე ...

ნ. გუგუშვილი.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 11 მარტისთვის

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 17 | 16 | 1 | 1439—1183 | 16 |
| „სპარტაკი" (ლენინგრადი) | 16 | 15 | 1 | 1120—996 | 15 |
| „კალევი" (ტარტუ) | 16 | 8 | 8 | 1150—1183 | 8 |
| „სტროიტელი" (კიევი) | 16 | 8 | 8 | 1150—1102 | 8 |
| „დინამო" (მოსკოვი) | 16 | 7 | 9 | 1206—1186 | 7 |
| „ჟალგირისი" (კაუნასი) | 18 | 7 | 11 | 1338—1340 | 7 |
| „დინამო" (თბილისი) | 16 | 7 | 9 | 1221—1266 | 7 |
| სკა (კიევი) | 16 | 7 | 9 | 1060—1161 | 7 |
| „სტატიბა" (ვილნიუსი) | 18 | 4 | 14 | 1233—1429 | 4 |
| „ბურევესტნიკი" (თბილისი) | 17 | 4 | 13 | 1168—1249 | 4 |

### ზუზინ...

თბილისის სპორტის სასახლეში ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოვისა და თბილისის დინამოელები. გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 81:76 (38:39).



რიგაში გაიმართა მძლეოსნობის სპეციალიზებული სპორტული სკოლების გუნდების მატჩი. ტურნირში საქართველოს პროფსაბჭოს სპორტსკოლაც მონაწილეობდა. წარმატებას მიაღწია თბილისელმა მოსწავლემ მზია კიკნაველიძემ, რომელმაც სიმაღლეზე ხტომაში ფოსბიურის ყაიდით 168 სმ დაძლია და პირველად შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმატივი. მწვრთნელ გალინა მიროტაძის აღსაზრდელის ეს შედეგი 8 სანტიმეტრით სჯობს საშუალო ასაკის გოგონათა რესპუბლიკურ რეკორდს, რომელიც შარშანდლიდან კიკნაველიძესა და ნ. ვლადიმერაშვილს ეკუთვნოდათ.

• • •

სურათზე: მ. კიკნაველიძე თბილისის „ლოკომოტივის" სტადიონზე სიმაღლეზე ხტომაში ვარჯიშის დროს.

ო. გელაშვილის ფოტო.

# 7 საიმედო პარტია

მოსკოვი, 11 მარტი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). აქ კვლავ დიდ ინტერესს იწვევს საბჭოთა მოჭადრაკეების ყველაზე დიდი შეჯიბრება—ოლიმპიადა. გუშინ დილით მოეწყო გადადებული პარტიების დამთავრება. საქართველოს წარმომადგენლებს ლენინგრადელებთან ჰქონდათ საქმე. გურგენიძე დანებდა მ. ცეიტლინს, ხოლო ე. ბაჟინა — თ. ხუგაშვილს. თ. კაჭარავა და ი. ლევიტინა ყაიმზე შეთანხმდნენ. ამრიგად, ანგარიში გახდა 6,5:3,5 საქართველოს გუნდის სასარგებლოდ. 2 პარტია კვლავ გადადებულია. ე. უბილავა მოგების შანსს ინარჩუნებს ს. ფურმანთან, ხოლო ე. გუფელდს ყაიმის იმედი გამოუჩნდა ვ. კორჩნოისთან.

მთავარი ფინალის III ტურში ლენინგრადისა და მოსკოვის მატჩის ანგარიშია 5,5:4,5 (2 პარტია გადადებულია), ხოლო უკრაინა — ლატვიის მატჩი უკრაინის წარმომადგენელთა გამარჯვებით დამთავრდა — 8,5:3,5.

საქართველოს გუნდი რსფსრ-ს ნაკრებს შეხვდა. ე. გუფელდ — ლ. პოლუგაევსკის გადადებულ პარტიაში თბილისელს უკეთესი ენდშპილი აქვს. რ. ჯინჯიხაშვილისა და ა. კარპოვის შეხვედრაში ამ უკანასკნელმა მეტოქეს რამდენიმეჯერ შესთავაზა ყაიმი, მაგრამ ჯინჯიხაშვილი უარზე იყო. საბოლოოდ პარტია გადაიდო — ჯინჯიხაშვილს ოდნავ უკეთესი მდგომარეობა აქვს. ე. უბილავა — ი. ანიკაევის პარტია გადადებულია უბილავას უპირატესობით. ს. ჩეჩელიანმა მოუგო ვ. ზილბერშტეინს. ბ. გურგენიძემ წააგო ვ. ცეშკოვსკისთან (თბილისელ დიდოსტატს დებიუტიდანვე ცუდი პოზიცია ჰქონდა და ვერაფრით დააღწია თავი სირთულეებს). დ. გედევანიშვილი დამარცხდა ა. პანჩენკოსთან. გ. ბუზიაშვილმა გადადო პარტია ე. დრაგომარეცკისთან. გ. ზაიჩიკმა უსაფუძვლოდ შესწირა ხარისხი ა. ივანოვს და დამარცხდა. ც. კობაიძე შეხვდა ვ. კოზლოვსკაიას. პარტია რთულ პოზიციაშია გადადებული. ასეთივე მწვავე მდგომარეობაშია გადადებული რ. ცილუნოვა — თ. ხუგაშვილის პარტია. თ. კაჭარავა — ლ. საუნინას გადადებულ შეხვედრაში თეთრებს უკეთესი მდგომარეობა აქვთ. მ. წერეთელი და ნ. ალიოხინა ყაიმზე შეთანხმდნენ. ამრიგად, ანგარიშია 3,5:1,5 რსფსრ-ს გუნდის სასარგებლოდ, მაგრამ 7 გადადებული პარტიის დამთავრებამ ჩვენს გუნდს გამარჯვება უნდა მოუტანოს.

სხვა შეხვედრებიდან აღსანიშნავია ი. ბალაშოვ — ვ. ოსნოსის პარტია, რომელშიც თეთრები სწრაფად შეუთანხმდნენ მეტოქეს ყაიმზე პოზიციაში, სადაც მათი პერსპექტივები გაცილებით უკეთესი იყო. მიზეზი გახლდათ დეპეშა, რომელიც ბალაშოვს მიუტანეს — ატყობინებდნენ, ქალიშვილი შეეძინაო.

მთავარ ფინალში 20,5 ქულით და 3 გადადებული პარტიით ლიდერობს უკრაინის ნაკრები. შემდეგ მოდიან: მოსკოვი — 19,5 (5), რსფსრ — 18 (8), ლენინგრადი — 14 (4), საქართველო — 11 (9), ლატვია — 10 (1).

მეორე ფინალის მატჩების შედეგები ასეთია: ესტონეთი — სომხეთი 5:3 (4), ბელორუსია — უზბეკეთი 5:3 (4), ყაზახეთი — აზერბაიჯანი 1,5:3,5 (7). მესამე ფინალი: მოლდავეთი — ტაჯიკეთი 5,5:4,5 (2), ყირგიზეთი — თურქმენეთი 3,5:4,5 (4).

მეორე ფინალში წინ არიან ბელორუსიის მოჭადრაკეები — 19,5 (5), მესამეში — მოლდავეთის წარმომადგენლები — 19 (3).

 თ. გიორგაძე,
ოლიმპიადის მსაჯი, საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

# კიდევ ორი ტური

გაიმართა თბილისის მოჭადრაკე ვაჟთა ჩემპიონატის კიდევ ორი ტური.

IX ტურში პირველად დამარცხდა გ. კალატოზიშვილი, რომელმაც წააგო თბილისის შარშანდელ ჩემპიონ მ. ლევინთან. მ. ფრიდინსკიმ მოუგო გ. ბალოიანს, რ. კაპანაძემ — ს. მეგრელიშვილს, დ. ჯანოევმა — შ. ქრელაშვილს. ე. კუშჩიან — გ. მეხრიშვილის შეხვედრა ყაიმით დამთავრდა. გადაიდო კ. ჩიგოგიძე — პ. შაქარიანის პარტია.

X ტურში გ. ციხელაშვილმა მოუგო მეგრელიშვილს, შაქარიანმა — ქრელაშვილს, კაპანაძემ — ბალოიანს. ჯანოევი და კალატოზიშვილი ყაიმზე შეთანხმდნენ. მეხრიშვილი არ გამოცხადდა ჩიგოგიძესთან სათამაშოდ და წაგება ჩაეთვალა.

გადადებული პარტიების დამთავრებისას ფრიდინსკიმ მოუგო კუშჩიანს, ხოლო შაქარიანმა — ბალოიანს. დანარჩენი პარტიები კვლავ გადაიდო.

10 ტურის შემდეგ შაქარიანს 6,5 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს. ამდენივე ქულა მოაგროვეს ციხელაშვილმა და ლევინმა, ოღონდ 9 შეხვედრიდან.

ა. ცეხანელი.

# უამინდობის მიუხედავად...

მოტოკროსში თბილისის საერთაშორისო ტურნირის მონაწილეებს ბედი არ სწყალობდათ: წინადღით ვარჯიშის დროს და 8 მარტს ტურნირის დაწყებამდე წვიმამ ისედაც ძნელი 2300-მეტრიანი ტრასა კიდევ უფრო გაართულა. ლიდერებს რა უჭირდათ, ჩამორჩენილებს კი მეტოქეთა მოტოციკლების ბორბლებისგან გუნდ-გუნდად აყრილი ტალახი პირდაპირ სახეში ეყრებოდათ. მაგრამ სპორტსმენები უამინდობამ ვერ შეაკრთო: სსრ კავშირის, ჩეხოსლოვაკიის, კუბისა და საქართველოს უძლიერეს მოტოკროსმენთა მეორე ტურის შეჯიბრება დაძაბულად და ძალიან საინტერესოდ ჩატარდა.

ასპარეზობის ფორმულა იგივე იყო, რაც რუსთავში — „ა" და „ბ" ჯგუფებისთვის განსაზღვრული დრო პლუს 2-2 წრე. მეტოქენიც იგივენი გახლდნენ. დელისის მიდამოებში გამართული სტარტი რუსთავში დამარცხებულებს რევანშის საშუალებას აძლევდა, მაგრამ ფავორიტები ფავორიტებად დარჩნენ. ოღონდ ეს იყო, ლიდერებმა ახლა ისე იოლად ვერ გაიმარჯვეს.

„ა" ჯგუფში სტარტზე გამოსულ 33 კაცს შორის 29 სპორტის ოსტატი გახლდათ. აქ იყო, აგრეთვე, პირველი კლასის ოთხი მოტოციკლისტი (როგორც მათ ჩეხოსლოვაკიაში უწოდებენ) — თ. ხამერშმიდტი, მ. ხურავი, ი. კაჯანი და ი. სტეპანი.

მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილეს, ჩეხოსლოვაკიელ სპორტის ოსტატ ი. სტოდულკას პირველ ცდაზე ბადალი არ ჰყავდა. მან რბოლა იოლად მოიგო, მაგრამ მეორე ცდაზე გამარჯვების საკითხი სტარტიდანვე სასწორზე დადო — დაეცა. ეს თანასწორთა ქიდილში ბევრს ნიშნავს. მართალია, სტოდულკამ მალე შეძლო ბრძოლის გაგრძელება, მაგრამ პირველ წრეზე იგი მხოლოდ მე-13 იყო.

გამოცდილი ოსტატი პოზიციას თანდათან იუმჯობესებდა, მიზანთანაც ახლოს იყო, რომ ფაციფუცში კვლავ წაიფორხილა — მანქანა ისევ გაუჯიუტდა. ამასობაში მოწინააღმდეგეები ისევ დაწინაურდნენ. როცა ფინიშამდე 8 წრე დარჩა, სტოდულკას მხოლოდ VII ადგილი ეკავა.

სტოდულკამ მაყურებელთა სიმპათია პირველივე ცდაზე დაიმსახურა და ახლა ათასობით ადამიანი მის ყოველ ნაბიჯს განიცდიდა.

საბოლოოდ სტოდულკამ ის შეძლო, რომ ცდაში III ადგილი დაისაკუთრა, რაც ორი ცდის ჯამში პირველობისთვის საკმარისი აღმოჩნდა. მას თბილისის დოსააფის კიროვის რაიონული კომიტეტის სპეციალური პრიზი გადაეცა. კალინინისა და ლენინის სახელობის რაიონების დოსააფის კომიტეტების პრიზებით დაჯილდოვდნენ უძლიერესთა ჯგუფში II და III ადგილებზე გასულები—მოსკოველი სპორტის ოსტატი ნ. ეფიმოვი და კიშინიოველი სპორტის ოსტატი ა. მანდრიჩენკო.

„ა" ჯგუფში 7 საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი გამოდიოდა, მაგრამ ვერც ერთმა საპრიზო ადგილი ვერ დაიკავა — ახალგაზრდობამ გამოცდილებას აჯობა.

„ბ" ჯგუფი ძირითადად სპორტის ოსტატობის კანდიდატებმა და პირველთანრიგოსნებმა შექმნეს, რომელთა შორის მხოლოდ 7 სპორტის ოსტატი იყო (მათ წლევანდელი სტარტებისთვის სათანადოდ მომზადება ვერ მოასწრეს). 30 მონაწილეს შორის 16 საქართველოდან გახლდათ, მაგრამ მათგან მხოლოდ ერთმა — თბილისელმა სპორტის ოსტატობის კანდიდატმა გ. სიტნიკმა შეძლო III ადგილის დასაკუთრება. გამარჯვება ამჯერად ლენინგრადელ ოსტატობის კანდიდატ ს. ოპატოვიჩს დარჩა.

როგორც აღვნიშნეთ, რუსთავისა და თბილისის სტარტებზე თავისუფლების კუნძულის სპორტსმენებიც გამოვიდნენ: პ. გონზალესი, მ. ალვაროსი, ა. კაპაროსი და რ. როდრიგესი. რუსთავში ამ კვარტეტიდან საუკეთესო შედეგს კაპაროსმა მიაღწია, დელისში კი სპეციალური პრიზი გონზალესს გადაეცა.

დოსააფის საქართველოს რესპუბლიკურმა კომიტეტმა ტურნირი ორგანიზებულად ჩაატარა.

ო. გელაშვილი.

# ფალავანთა კლუბის სარბიელზე

ფალავანთა კლუბში ჩატარდა თბილისის პირად-გუნდური პირველობა კლასიკურ ჭიდაობაში. ასპარეზობაში მონაწილეობდა ასამდე მოჭიდავე, მათ შორის, 27 სპორტის ოსტატი და ოსტატობის კანდიდატი.

საინტერესო გამოდგა შეხვედრები ქვემსუბუქ წონაში. გადამწყვეტ ბრძოლაში ერთმანეთის პირისპირ წარსდგნენ ბურევესტნიკელები თ. წინწალაშვილი და ა. ბენდიანაშვილი. ქულებით გაიმარჯვა პირველმა. II ადგილი ბენდიანაშვილისთვის უდავო წარმატებაა, ვინაიდან იგი თავისუფ ლი სტილის მოჭიდავეა.

პირველ საშუალო წონაში დინამოელი თ. გალდავასა და ლოკომოტიველი გ. ხუჭუას გადამწყვეტი შეხვედრა ფრედ დამთავრდა. გამარჯვებულის ვინაობა წმინდა მოგებების რაოდენობამ გაარკვია. ეს მაჩვენებელი გალდავას უკეთესი აღმოაჩნდა და ჩემპიონიც გახდა.

დანარჩენ წონით კატეგორიებში გაიმარჯვეს: ი. ბაქრაძემ („ლოკომოტივი"), ა. აფრიამაშვილმა, ი. მჟავანაძემ (ორივე — „ბურევესტნიკი"), ი. მელქაძემ („დინამო"), ნ. ბაბიაშვილმა, ზ. სირაძემ, ზ. ელიზიდიმ (ყველა — „ბურევესტნიკი").

გუნდურ ჩათვლაში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. „ბურევესტნიკი", 2. „განთიადი", 3. „შრომითი რეზერვები".

ო. ჩხაიძე,
სპორტის ოსტატი.

# ორწრიანი, ელვისებური...

8 მარტს თბილისში, ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში, გაიმართა ორწრიანი საჭადრაკო ელვისებური ტურნირი, რომელიც ქალთა საერთაშორისო დღეს მიეძღვნა. გაიმარჯვა ლ. ნაჭყებიამ — 10,5 ქულა 14-დან.

II ადგილზეა მ. დათაშვილი, რომელიც გამარჯვებულს ნახევარი ქულით ჩამორჩა.

III საპრიზო ადგილი ც. კახაბრიშვილს ხვდა — 9,5 ქულა.

ც. ბარბაქაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სტვენით გააცილეს

**გამაყრუებელი** სტვენით გააცილა 15 ათასმა ათენელმა მაყურებელმა საბერძნეთის ნაკრები, რომელმაც საკუთარ მინდორზე გამანადგურებელი მარცხის სიმწარე იწვნია ჰოლანდიელთაგან — 0:5.

ჰოლანდიელებმა მთელი თამაშის მანძილზე მასპინძლებს არავითარი შანსი არ მისცეს. ასეთი დამარცხება თავის სტადიონზე საბერძნეთის ნაკრებს საერთოდ არ ახსოვს.

## დოჰერტი აკრიტიკებს რამსეის

**დიდი** ბრიტანეთის სპორტულ ჟურნალისტთა წრეებში დიდი გამოხმაურება ჰპოვა შოტლანდიის ნაკრების მწვრთნელის ტ. დოჰერტის განცხადებამ, რომელიც ინგლისის ნაკრების მწვრთნელის ა. რამსეის წინააღმდეგაა მიმართული. ეს პოლემიკა ახალი ამბავი არაა.

დოჰერტიმ დაუჯერებლად მიიჩნია რამსეის სიტყვები იმის თაობაზე, რომ მისი გუნდი ევროპის ჩემპიონატის მეოთხედფინალში მოუგებს გფრ-ის ნაკრებს. პირიქით, შოტლანდიელ სპეციალისტს მიაჩნია, რომ გერმანელები გაიმარჯვებენ. რატომ? იმიტომ, რომ დოჰერტის ღრმა რწმენით რამსეი მოძველებული მეთოდებით ავარჯიშებს თავის გუნდს. „რამსეის სწამს იმავე სტილის და იმავე მოთამაშეებისა, რომლებმაც 1966 წელს წარმატება მოიპოვეს მსოფლიო ჩემპიონატში, ახლა კი სხვა დროა და იმ ძველი მეთოდებით ფონს გასვლა უკვე შეუძლებელია".

## უცხოეთის ფეხბურთის ამბები

### უსიამოვნო დებიუტი

**სახელოვანი** ჯ. სანტოსი ამ დღეებში სათავეში ჩაუდგა ბრაზილიის ცნობილ კლუბს „ბაიას". მისი ხელმძღვანელობით „ბაიამ" პირველი მატჩი გამართა „იტაბუნის" წინააღმდეგ და გაიმარჯვა. ახალ მწვრთნელს მაინც ჩაამწარეს სიხარული: ვიღაც ავარამ ტრიბუნიდან ბოთლი ისროლა და ჯალმას თავი გაუხეთქა. დაპატიმრებულმა ხულიგანმა განაცხადა, რომ მისი გუნდი „იტაბუნა" წაგების ღირსი არ იყო და ამ ამბავმა იგი მოთმინებიდან გამოიყვანა.

## „ოსკარი" — ფიშერს

როგორც ჟურნალი „შახი" (გდრ) იუწყება, საჭადრაკო ჟურნალისტების საერთაშორისო გაერთიანებამ პალმა-დემალიორკაში გამოაცხადა უძლიერეს დიდოსტატთა ათეული 1971 წლის სეზონის შედეგების მიხედვით: 1. რ. ფიშერი (ამერიკის შეერთებული შტატები. მას მიეკუთვნა ჯილდო „საჭადრაკო ოსკარი"), 2. ტ. პეტროსიანი, 3. ვ. კორჩნოი, 4. ვ. სმისლოვი (ყველა — სსრ კავშირი), 5. ვ. ჰორტი (ჩეხოსლოვაკია), 6. ბ. სპასკი, 7. ვ. სავონი, 8. მ. ტალი, 9. ლ. პოლუგაევსკი, 10. ლ. შტეინი (ყველა — სსრ კავშირი).

## „ცრვენა ზვეზდა" — ფინალში

**ბელგრადი.** აქ გაიმართა ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშების საპასუხო ნახევარფინალური მატჩი ადგილობრივ „ცრვენა ზვეზდისა" და ბადალონის (ესპანეთი) „ხუვენტუდის" კალათბურთელ ვაჟთა გუნდებს შორის. გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 90:70 (50:31).

როგორც ცნობილია, იუგოსლაველებმა პირველი მატჩი ესპანეთში წააგეს (70:83), მაგრამ ქულების უკეთესი ბალანსის წყალობით ფინალში გავიდნენ.

## დაზვერვა რინგებზე

**მოკრივეებმა** ერთ-ერთმა პირველებმა დაიწყეს მზადება წლევანდელი საზაფხულო ოლიმპიური თამაშებისთვის. ერთიმეორეზე ტარდება საერთაშორისო ტურნირები, რომელთა მიზანიც უფრო მეტოქეთა დაზვერვაა. საზღვარგარეთ გზავნიან „გაზავებულ" გუნდებს. მათში ჩვეულებრივ შედის ერთი-ორი ოლიმპიელი, აგრეთვე, ახალგაზრდა მოკრივეები, რომელნიც საერთაშორისო შეხვედრებში გამოცდილებას იძენენ.

სახელდობრ, ასე მოიქცნენ ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრების ხელმძღვანელები. მათ თებერვალში მოსკოვში გამოგზავნეს გუნდი, რომელშიც მხოლოდ ოთხი პირველი ნომერი იყო თავიანთ წონითს კატეგორიებში.

მაგრამ აი, აფრიკის მოყვარულ მოკრივეთა ჩემპიონატში ყველა უძლიერესმა მიიღო მონაწილეობა. ექვსი I ადგილი კენიელებმა დაიკავეს. ეს შემთხვევითი როდია: ამ ქვეყნის წარმომადგენლები დიდი წარმატებით გამოვიდნენ მეხიკოს 1968 წლის ოლიმპიურ თამაშებში.

როგორც ჩანს, კენიელთა გვარები მომავალი ოლიმპიადის პრიზიორთა სიებშიც შეგვხვდება. ხ. მბოგვა, ფ. ვარუინგი, დ. ატანი დიდი შრომისმოყვარეობით, ამტანობითა და ბრძოლის მაღალი ტემპით გამოირჩევიან, მკვეთრი, ზუსტი დარტყმა იციან. არ დაგავიწყდეთ, რომ 1968 წელს ვარუინგიმ მიიღო ბარკერის პრიზი, რომელიც, ტრადიციისამებრ, ოლიმპიადის საუკეთესო მოკრივეს გადაეცემა.

ძლიერ მოკრივეებს სერიოზული მეტოქეობა გაუწიეს უგანდის სპორტსმენებმაც. მათ ამ პირველობაში ოქროს ოთხი მედალი დაისაკუთრეს. უგანდის გუნდში სტაბილური შედეგებით გამოირჩევიან ჯ. ოდვორი და ბ. მახანდა.

აფრიკის ჩემპიონატის პრიზიორთა შორის არიან არეს, კამერუნის, ნიგერიის, ზაირის სპორტსმენები. ყველა მათგანს ბრძოლის თავისებური ტექნიკა აქვს. ევროპელებს დიდი მონდომება და დაკვირვება დასჭირდებათ საიმისოდ, რომ უჩვეულო მეტოქეებს შეეგუონ.

ცნობილმა უნგრელმა მოკრივემ, ევროპის ორგზის ჩემპიონმა დ. გედომ ამას წინათ სოფიის თასი დაისაკუთრა. იგი კარგ ფორმაშია და, როგორც ჩანს, ოლიმპიადის სარბიელზე უშელავათოდ იბრძოლებს. ბულგარეთის დედაქალაქში კარგი მომზადება გამოავლინეს რინგის მასპინძლებმა და ევროპის ვიცე-ჩემპიონმა კ. კუცოვმა (რუმინეთი).

რამდენიმე სიტყვა მ. ალიზე. 1 აპრილს ტოკიოში იგი თავის თანამემამულე მ. ფოსტერს შეხვდება (ეს ერთადერთი შემთხვევა იქნება იაპონიაში, როცა სარბიელზე ამ ქვეყნის არც ერთი წარმომადგენელი არ გამოვა). მატჩის ორგანიზატორები ალის საწვრთნელი მეცადინეობების ბილეთებსაც კი ყიდიან და მოლაპარაკებას აწარმოებენ კავშირგაბმულობის თანამგზავრთა დახმარებით ორთაბრძოლის სატელევიზიო ტრანსლაციაზე. ისინი ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ფოსტერს გამარჯვებით დაგვირგვინებული 29 ორთაბრძოლიდან 28 ვადამდე აქვს დამთავრებული.

ვ. კუკუშკინი.
(საკდესის კორ.).



მსოფლიო ობიექტივში

**ეს ამბავი** როჩესტერის ჩოგბურთის კლუბში მოხდა. ტუსკალუზელი (ალაბამა) ჩ. ოუენსი ი. სინგჰთან (ნიუ-დელი, ინდოეთი) თამაშის დროს წაიქცა და ბადეში გაიხლართა. მიუხედავად ამისა, ამერიკის შეერთებული შტატების მოყვარულ ჩოგბურთელთა ჩემპიონატში გამარჯვება მაინც ოუენსს დარჩა.

ასოშიეიტედ პრესის ფოტო.

• •



**ვაუნო** იასკარი უაღრესად გაოცდა, როცა მიხვდა, რომ თავისუფალ ჭიდაობაში ფინეთის ჩემპიონობას კარგავდა. 15 წლის განმავლობაში მას ბადალი არ ჰყავდა 63 კგ-მდე წონით კატეგორიაში, მაგრამ ახლა ჩემპიონი 20 წლის ი. ლიიმატაინენმა დაამარცხა (ამ ფოტოზე თქვენ გამარჯვებულის მხოლოდ ფეხებსა და ცალ ხელს ხედავთ).

## ვიქტორ სანეევის მსოფლიო მიღწევა

## გუშინ...

გრენობლში დაიწყო ევროპის მძლეოსანთა ზამთრის III ჩემპიონატი. ტურნირი იმ დარბაზში მიმდინარეობს, სადაც ოთხი წლის წინ ზამთრის ოლიმპიური თამაშების პროგრამით ჰოკეისტთა და ფიგურულ მოცურავეთა შეჯიბრებები ჩატარდა.

წლევანდელი ჩემპიონატი წინა პირველობებზე ბევრად წარმომადგენლობითია, მაგრამ ყველაზე მეტ ინტერესს სსრ კავშირის ნაკრების მონაწილეობა იწვევს: საბჭოთა მძლეოსნებმა ვენაში ხომ 10, ხოლო სოფიაში ოქროს 8 მედალი დაისაკუთრეს!

გრენობლის ტურნირი ვ. ბორზოვისა და ნ. ჩიჟოვასთვის მესამე ამგვარი სტარტი იქნება. ბორზოვმაც და ჩიჟოვამაც ვენისა და სოფიის ტურნირები მოიგეს, თანაც, ჩიჟოვამ ორიოეჯერ მსოფლიო მიღწევა დაამყარა, ბორზოვმა კი წლეულს ამერიკელ სპრინტერებს შინ რამდენიმეჯერ სძლია.

დიდ ინტერესს იწვევდა სამხტომში მეხიკოს ოლიმპიადის ჩემპიონისა და უმაღლესი მსოფლიო მიღწევის ავტორის, თბილისელი სპორტის დამსახურებული ოსტატის ვ. სანეევის გამოსვლა. სანეევს ამასწინანდელ საკავშირო ტურნირში მსოფლიო მიღწევამდე (16,95 მ) სანტიმეტრი არ ეყო...

ზამთრის ევროპულ ჩემპიონატში „ახალწვეულთა" შორის პირველ ყოვლისა უნდა დავასახელოთ თბილისელი სპორტის ოსტატი ა. მოშიაშვილი, რომელმაც 60 მეტრზე თარჯრბენში საკავშირო მიღწევა (7,6) დაამყარა. გრენობლში მას 50 მეტრზე ასპარეზობა მოუწევს. საფრანგეთის ამ ქალაქში სპორტის მოყვარულები ნახავენ, აგრეთვე, 24 წლის ლენინგრადელი ბირთვის მკვრელის ა. ბარიშნიკოვის ახალ „წრიულ" სტილს.

მაგრამ ავსტრიელი ი. გუზენბაუერის, შვედი ქ. იზაქსონის, დასავლეთგერმანელების მ. თერისა და რ. ვილდესის, პოლონელი ა. ბადენსკისა და სხვათა სტარტები განა ნაკლებ საინტერესოა?

დღეს „სპორტის დედოფლის" მოყვარულები ამ შეჯიბრებას ცისფერ ეკრანზე ნახავენ 13 საათზე და 40 წუთზე, აგრეთვე, 19 საათიდან და 45 წუთიდან, გუშინ კი ასეთი შედეგების მოწმენი ვიყავით:

გაიმართა ქალთა შეჯიბრება 50 მეტრზე თარჯრბენში, ვაჟთა ასპარეზობა 50 მეტრზე რბენაში, სამხტომში... პირველი გამარჯვებული სწორედ სამხტომში გამოვლინდა. წინასწარ ტურნირში სანეევი დაწინაურდა — 16,87 მ. აქ მეორე შედეგი რუმინელ კ. კორბუს ჰქონდა — 16,73, მესამე — გ. ბესონოვს (სსრ კავშირი) — 15,55.

ფინალში მეორე ცდაზე კორბუ 16,89 მეტრზე გადახტა და ხელთ იგდო ლიდერობა, მაგრამ მას სანეევმა ისევ აჯობა — 16,97 მ. ეს სანეევის მსოფლიო მიღწევას 2 სმ-ით სჯობს. ვიქტორმა ძველ მსოფლიო მიღწევას ბოლო ცდაზეც გადააჭარბა — 16,96 მ აჩვენა.

საბოლოოდ ადგილები ასე განაწილდა: I. სანეევი — 16,97, II. კორბუ — 16,89, III — ვ. შევჩენკო (სსრ კავშირი) — 16,73, IV ადგილზეა მოსკოველი სტუდენტი გ. ბესონოვი — 16,58.

### „სპორტლოტოს" მორიგი ტირაჟი

**უფა, 10 მარტი.** აქ გაიმართა „სპორტლოტოს" მორიგი ტირაჟი. მოგებები შემდეგ ნომრებს ხვდათ: 8 (კრივი), 16 (ტანვარჯიში), 17 (მხატვრული ტანვარჯიში), 35 (სპიდვეი), 36 (სლალომი), 43 (ფარიკაობა).

რედაქტორი მ. კაკაბაძე.


„ლოკომოტივის" სტადიონი

(ი. ჭავჭავაძის პრ. № 74)

ფეხბურთი

დღეს

სსრ კავშირის თასის გათამაშება

მერვედფინალური შეხვედრა

„დინამო" (თბილისი) — „შახტიორი" (ყარაგანდა)

დასაწყისი 15 ს.

ბილეთები გაიყიდება სტადიონის სალაროებში 10 საათიდან.

1971 წლის საშვი ძალაშია.



თბილისის სპორტული ბაზრობა

**კალათბურთი.** სპორტის სასახლე. სსრ კავშირის ვაჟთა ჩემპიონატი. 13 მარტი. „დინამო" (თბილისი) — ცსკა. დასაწყისი: სათადარიგო შემადგენლობებისა — 18 ს., ძირითადი შემადგენლობებისა — 20 ს.

**ხელბურთი.** სპორტის სასახლე. ვაჟთა გუნდების საერთაშორისო შეხვედრები. 12 და 14 მარტი. თბილისი (ნაკრები) — ლიუბლიანა (ნაკრები). მატჩების დასაწყისი 18 ს.


4 ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. უე 04470